ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4261931

ნომერი: AR1642972

თარიღი : 08.11.2018

გაცემის თარიღი : 16.11.2018

გაცნობის თარიღი : 13.12.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ლისი;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ირაკლი კუტალია პ/ნ 01008058302
- თბილისი ცხვედაძის 18ა

ორგანიზაცია:
- აიემდი კოდი: 405203462

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია ავტოსადგომის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა გაითვალისწინოთ და წარმოადგინოთ შემდეგი:

- „მოთხოვნის შინაარსის ტექსტში“ დაწვრილებით აისახოს საპროექტო დავალებით გათვალისწინებული სამუშაოების თაობაზე. ასევე მიეთითოს საპროექტო შენობის ზუსტი ფუნქცია და დანშნულება. ასევე გაითვალისწინეთ, რომ მითითებული ფუნქცია უნდა შეესაბამებოდეს წარმოდგენილ ვიზუალს და გეგმარებას.

- წარმოსადგენია საპროექტო შენობის გეგმა კოლონებისა და ექსპლიკაციის დატანით. ასევე გაითვალისწინეთ, რომ I კლასს განეკუთვნება: 60 კვ.მ-მდე ფართობის (იანგარიშება იატაკის დონეებზე სართულების განაშენიანების ჯამური ფართობის მიხედვით), 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა-ნაგებობა, რომლის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე ნაკლები ან ტოლია 5 მ-ისა.

- წარმოსადგენია არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტოსურათებზე დამუშავებული ფოტომონტაჟები დეტალურად გაბარიტული ზომების და მასალის მითითებით გამოტანილი ხაზის მეშვეობით.

- წარმოსადგენია ტოპოგრაფიული გეგმა ტერიტორიაზე არსებული ყველა ხე-ნარგავისა და ბუჩქის დატანით. ასევე ტოპოგრაფიულ გეგმაზე დაიტანეთ საპროექტო შენობა და ღია ავტოსადგომი საკადასტრო საზღვრებამდე მიბმის მანძილებით. გაითვალისწინეთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ივლისის №13-55 დადგენილებით შევიდა ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებაში . ცვლილების თანახმად, დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მინიმალური დაშორება მშენებარე შენობასა და ხეებს შორის შეადგენს 3 მეტრს, ხოლო მშენებარე შენობასა და ბუჩქებს შორის 1,5 მეტრს. იმ შემთხვევაში თუ მოხდება არსებული ხე-ნარგავების ან ბუჩქების მოჭრა ან/და გადარგვა საჭირო იქნება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის თანხმობის წარმოდგენა.

- მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება ხაზოვანი ნაგებობა, ელექტროგადამცემი ხაზი, 110 კვ. საჰაერო ხაზი (საკ. კოდით #01.01.645) მესაკუთრე სააქციო საზოგადეობა „თელაის“. საჭიროა წარმოადგინოთ სააქციო საზოგადეობა „თელასი“-ს მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე და შესაბამისი ბეჭდით დამოწმებული გრაფიკული ნაწილი.

- არ დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს შპს „აიმედის“ მეორე დირექტორის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობა, რომელიც ითვალისწინებს მინდობილი პირის წარმომადგენლობას სამსახურში ან დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად პავლე მაღრაძე.

ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ სამსახური სრულყოფილად განიხილავს საკითხს და გეცნობებათ მასში არსებული (არსებობის შემთხვევაში) ხარვეზებისა და დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის თაობაზე.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge